მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“ უკვე რვა წელია საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, რომლის მიზანსაც საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვებისა და 22 წლამდე ახალგაზრდების სამედიცინო ხარჯის დაფინანსება წარმოადგენს.

ფონდი 2014 წელს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაფუძნდა და დაარსებიდან დღემდე 900-მდე ბენეფიციარის 4000-ზე მეტი სამედიცინო სერვისი დააფინანსა. ამისთვის, ფინანსური რესურსების მობილიზება ხდება სოლიდარობის პრინციპით, ნებაყოფლობითი, მცირე დონაციის (სტაბილური მიკრო-დონაცია ხელფასიდან) და სხვა ერთჯერადი დონაციების, საქველმოქმედო ღონისძიებების საშუალებით.

ქველმოქმედებამ ფონდის ირგვლივ უამრავი საჯარო უწყება, თუ კერძო კომპანია გააერთიანა. ერთიანი ძალისხმევით ფონდმა 22 000 000-ზე მეტი ლარის მობილიზება შეძლო. შედეგად, სოლიდარობის ფონდის დაფუძნების დღიდან საქართველოში სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და 22 წლამდე ახალგაზრდა ფინანსური დახმარების გარეშე არ დარჩენილა. თუმცა, მათზე ზრუნვა, დაავადების სპეციფიკიდან და მკურნალობის ხანგრძლივი პერიოდიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში გრძელდება, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად 300-ზე მეტი საჯარო უწყების, 40 000 საჯარო პირის და კერძო კომპანიების ჩართულობისა, სოლიდარობის ფონდში განხორციელებული ყოველთვიური დონაციები არ არის საკმარისი 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის დაფინანსებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. საჭიროა მეტი ფინანსური რესურსის მობილიზება, რისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის გააქტიურება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნის გარშემო.

აქვე მოგახსენებთ, რომ სოლიდარობის ფონდში მონაწილეობა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის თანამშრომლებისა და ორგანიზაციებისათვის არის ნებაყოფლობითი. ***ხოლო ფონდში ჩარიცხული თანხის 100% ბენეფიციარების მკურნალობასა და დიაგნოსტიკას ხმარდება.*** *ფონდი ხელმძღვანელობს მკაფიოდ განსაზღვრული, ობიექტური დაფინანსების კრიტერიუმებით, რაც თანასწორობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გარანტია. მრავალსაფეხურიანი და წამორმადგენლობითი მმართველობა კი მისი გამჭვირვალობის საწინდარია. გამჭვირვალობას ასევე უზრუნველყოფს ფონდის მიერ ყოველთვიურად გამოქვეყნებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი პერიოდული ანგარიში, სადაც დეტალურად გაწერილია მობილიზებული თანხით დაფინანსებული სამედიცინო სერვისები.*

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ მხარდაჭერის თხოვნით და „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ სახელით გამოვთქვამთ თანამშრომლობის სურვილსა და მზაობას.

ფონდისთვის და მისი ბენეფიციარებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სტაბილური მიკრო-დონაცია ხელფასიდან, ასევე მიკრო-დონაციის პროდუქტში/მომსახურებაში ინტეგრაცია, ერთჯერადი მაკრო-დონაცია, თუ სხვა ფორმის მხარდაჭერა.

ყოველი განხორციელებული შემოწირულობა, კიდევ ერთი გადარჩენილი ბავშვის სიცოცხლე და ოჯახებისთვის დაბრუნებული ბედნიერების განცდაა.

სურვილის შემთხვევაში, ფონდი მზად არის მისი საქმიანობის და მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად თქვენთვის მისაღებ ფორმატში.

მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის!

#შემოგვიერთდით
#სიკეთეგადამდებია

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორის მ/შ
ეკატერინე ფესტვენიძე